პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 კვირა 8 თებერვალი № 33 (16463) ფასი 2 კაპ. 1976

საბჭოთა საქართველო სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში კიდევ ერთი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა მოგილოცავ ჩემო საყვარელო სამშობლოვ, ამ დიდ ჯილდოს!

XXV ყრილობის პატივსაცემად

შესანიშნავად

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს რა 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონებისა და ეროვნული ოკრუგების, საწარმოების, საწარმოო გაერთიანებების, მშენებლობების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამარჯვებულებად ცნეს და დაჯილდოვეს:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით:

მოკავშირე რესპუბლიკები

1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის:

უკრაინის სსრ,
ბელორუსიის სსრ,
უზბეკეთის სსრ,
საქართველოს სსრ,
აზერბაიჯანის სსრ,
ლიტვის სსრ,
ყირგიზეთის სსრ,
ესტონეთის სსრ,

მრეწველობის საწარმოთა მიერ 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის:

რუსეთის სფსრ,
უაზახეთის სსრ,

ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები. 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის:

რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში: ქალაქი მოსკოვი, ქალაქი ლენინგრადი, უადარდო-მალყარეთის ასსრ, კომის ასსრ, მარეთის ასსრ, უდმურტეთის ასსრ, ალტაის მხარე, კრასნოდარის მხარე, კრასნოიარსკის მხარე, ხაბაროვსკის მხარე, ბელგოროდის ოლქი, ვლადიმირის ოლქი, გორკის ოლქი, ივანოვოს ოლქი, ირკუტსკის ოლქი, ლენინგრადის ოლქი, მოსკოვის ოლქი, სახალინის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი;

უკრაინის სს რესპუბლიკაში: ქალაქი კიევი, იმიერკარპატის ოლქი, ზაპოროჟიეს ოლქი, კიევის ოლქი, ყირიმის ოლქი, ლვოვის ოლქი, ოდესის ოლქი, ხარკოვის ოლქი, ხერსონის ოლქი;

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში: გროდნოს ოლქი, მინსკის ოლქი;

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში: ყარაყალპაყეთის ასსრ, სირდარიის ოლქი, ტაშკენტის ოლქი;

უაზახეთის სს რესპუბლიკაში: აღმოსავლეთ უაზახეთის ოლქი, სემიპალატინსკის ოლქი;

საქართველოს სს რესპუბლიკაში: აჭარის ასსრ;

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში: ნახიჩევანის ასსრ;

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში: ოშის ოლქი;

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში: ლენინაბადის ოლქი;

თურქმენეთის სს რესპუბლიკაში: ტაშაუზის ოლქი;

სამრეწველო საწარმოთა მიერ 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის:

ბაშკირეთის ასსრ, თათრეთის ასსრ, ალმა-ათის ოლქი, ვორონეჟის ოლქი, დნეპროპეტროვსკის ოლქი, ყარაგანდის ოლქი, კემეროვოს ოლქი, კუიბიშევის ოლქი, ომსკის ოლქი, პავლოდარის ოლქი, როსტოვის ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ნიშნებით „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით, ამასთან შეტანილ იქნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე:

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში უმაღლეს მაჩვენებელთა მიღწევისათვის:

საწარმოების, საწარმოო გაერთიანებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების 750 კოლექტივი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით:

1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის;

100 ქალაქი და ქალაქის რაიონი;
178 რაიონი და ეროვნული ოკრუგი;

საწარმოების, საწარმოო გაერთიანებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების 751 კოლექტივი.

□

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი ულოცავენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონების, ეროვნული ოკრუგების მშრომელებს, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა კოლექტივებს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მგზარი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია უფრო მაღლა აღმართავენ წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშას, ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდებიან სკკპ XXV ყრილობას, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ მეათე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას.

□

„მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის“ სამახსოვრო ნიშნებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებული და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე შეტანილი კოლექტივების სიას აქვეყნებენ: მრეწველობის დარგში — გაზეთები „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“ და „ტრუდი“, სოფლის მეურნეობის დარგში — გაზეთი „სელსკაია ჟიზნი“, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებული კოლექტივების სიასთან ერთად — შესაბამისი დარგობრივი, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გაზეთები.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე

ტაშკენტი. უზბეკეთის კომპარტიის XIX ყრილობის ბოლო სხდომაზე დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ყრილობამ აირჩია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები.

ყრილობის შემდეგ გამართულ პლენუმზე უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია შ. რ. რაშიდოვი.

ალმა-ათა. (საკადესი). 6 თებერვალს უაზახეთის კომპარტიის XXIV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. დელეგატებმა, რომლებმაც გამოხატეს უაზახეთის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის ნება, ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მაღალი შეფასება მისცეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ და ნაყოფიერ საქმიანობას.

ყრილობამ აირჩია უაზახეთის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

უაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს დ. ა. კუნაევი.

მინსკი, 6 თებერვალი. (საკადესი). საქმიანად, თვითკრიტიკულად გააანალიზეს ბელორუსიის კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატებმა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა საანგარიშო პერიოდში, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება. მათ დიდი დაინტერესებით განიხილეს აგრეთვე მოხსენება — პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“.

აირჩიეს ბელორუსიის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

ყრილობის შემდეგ გამართულ პლენუმზე ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს პ. მ. მაშეროვი.

□

უაზახეთისა და ბელორუსიის კომპარტიათა ყრილობებზე დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილები სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

მოსკოვის საქალაქო პარტიული კონფერენცია

მოსკოვის XXII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა, აირჩიეს საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოები და სკკპ XXV ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ამით კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

• • •

გაიმართა მოსკოვის XXII საქალაქო პარტიული კონფერენციის მიერ არჩეული სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. განიხილეს ორგანიზაციული საკითხები. სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ვ. ვ. გრიშინი. (საკადესი).

სკკპ XXV ყრილობის დელეგატი



ეს სურათი საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზეა გადაღებული. დელეგატთა შორის იმყოფებოდა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მძღოლი-გამომცდელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ვაშაკიძე. სურათზე: ბ. ვაშაკიძე (მარცხნიდან მესამე) ესაუბრება ყრილობის დელეგატებს (მარცხნიდან): ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკის კოლმეურნეობის მეჩაიეს სოციალისტური შრომის გმირს ნ. ჯინჭარაძეს, თბილისის ლენინის სახელობის ელექტროტექნიკურ ქარხნის ზეინკალს, ლენინის ორდენოსან გ. ჩადუნელს, ჭიათურის გვერადგამყვანს, ლენინის ორდენოსან გ. ბაქრაძეს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ლ. ჩხაიძეს, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელს, სოციალისტური შრომის გმირს გ. ჭოხონელიძეს (ჭიათურა).

ვლ. გინზბურგის ფოტო.

პირადი გეგმა, საერთო მიზანი

დიდხანს არ წარიშლება ჩემში ის უდიდესი შთაბეჭდილება, რაც ამას წინათ გამართულმა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ მოახდინა. გულთამდამა, გულახდილობა, პრინციპულობა და ადამიანზე დიდი ზრუნვა, მშრომელი კაცის დაფასების სულისკვეთება, რაც ამ ყრილობაზე ასე ძალუმად იგრძნობოდა, კანონიერი სიამაყის გრძნობით ავსებს თვითეული ჩვენგანის გულს, მოგვიწოდებს კიდევ უფრო გავზარდოთ ჩვენი წვლილი კომუნისტურ მშენებლობაში.

მე, რიგით მუშას, დიდი ბედნიერება მხვდა წილად — ამირჩიეს სკკპ XXV ყრილობის დელეგატად.

ოტა შეუნერხულება კიდეც, მაგრამ პირადი საქმიანობით მიხდა დავიწყო. თუ ჩვენს დროში ადამიანს თავისი მოქმედების გეგმა არა აქვს, მაშინ იგი უმიზნოდ ცხოვრობს. ვცდილობ, ყოველთვის მქონდეს ჩემი საკუთარი გეგმა. ჯერ კიდევ ადრე, როცა სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა დოკუმენტები მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ვიცარაუდე მეცხრე ხუთწლედში მეათე ხუთწლედის პირადი დაკალთება შემესრულებინა. ყოველდღიური გაკიანგარიშე ჩემი შესაძლებლობანი (რასაკვირველია, არ გამომრიცხავს საზოგადოებრივი საქმიანობაც), რომ დასახული მიზანი განვახორციელე — ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XXXI კონფერენციის დღეებში, კერძოდ 23 დეკემბერს სამშობლოს მეათე ხუთწლედის დაკალთებს შესრულება ვუპატაკე. ეს იყო ჩემი მოკრძალებული წვლილი საქართველოს კომპარტიის XXV და სკკპ XXV ყრილობების ღირსეულად აღნიშვნისათვის.

ახლახან წილად მხვდა დიდი პატივი — მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიყვანე ავტოგამწის ახალი ნიმუში, რომელიც უკვე ათვისებულია სერიული წარმოებისათვის.

ამჟამად ჩვენ ყველა ვგრძნობთ იმ სასიკეთო ცვლილებებს, რაც ბოლო წლებში ხდება ჩვენს რესპუბლიკაში, ივ, ცხადია, ქუთაისში. ახლახან, როცა ყრილობიდან დავბრუნდი, ჩემს მეგობრებსა და თანამოსაქმეებს შევხვდი. ყველა ერთსულოვნად აღნიშნავს იმ სასიკეთო ძვრებს, რაც ხდება ქარხანასა და მის დასახლებაში. ამენდა ექმნა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, გაიხსნა ახალი მუშათა სასადილო „ეფექტი“, აიგო ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი, ბევრი სავაჭრო ობიექტი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა კულტურის სახლს. სხვა ღონისძიებებთან ერთად საზოგადოებრივი კონტროლის აქტიური ზემოქმედების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მშრომელთა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სამედიცინო მომსახურება. ახლა პარტიული კომიტეტი, დირექცია, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უმომბენ ადამიანებზე ზრუნვას.

ყოველივე ეს კარგია, მშრომელებს უქმნის უკეთესი შრომის გაწყობილებას, უნერგავს იმის შეგნებას, რომ მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ პარტიის წინასწარდასახულობათა შესრულებას. მაგრამ ადგილებზე ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და ნაკლია, რომელთა მოთმენა ახალ ხუთწლედში, მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების ხუთწლედში შეუძლებელია.

მეკუთ ხუთწლედი უკვე დაწყო. იგი ხარისხის ხუთწლედია, ამიტომ რამდენიმე სიტყვით მინდა შეგეხო მუშური სინდისის საკითხს. როცა პროდუქციას ვქმნით, პირველ რიგში საკუთარი სინდისის წინაშე უნდა ვიყოთ მართალი, და არა ისე, როგორც ეს ზოგჯერ ჩვენს ქარხანაში ხდება. დაშვებულია წუნი? მუშას იერიში ტექნიკურ კონტროლის წარმომადგენელზე მიაქვს, ცდილობს, როგორმე მიაღებინოს თავისი უხარისხო ნაწარმი. სამწუხაროდ, ასეთია რიგებში კომუნისტებიც არიან. პარტიის წევრობა ერთნაირ მოვალეობას და უფლებას ანიჭებს ყველას, განურჩევლად თანამდებობისა, ამიტომ ნებისმიერი ნაკლის აღმოსაფხვრელად, რა ზეგრეანიც უნდა იყოს იგი, ერთნაირად უნდა დაირაზმოს ყველა, თანამდებობის პირი იქნება თუ რიგითი მუშა. ფაქტიურად კი ეს ასე არ არის.

მეტი გაქანება უნდა მიიღოს სოციალისტურმა შეჯიბრებამ. პროდუქციის ხარისხი და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება სოციალისტური შეჯიბრების მთავარ მაჩვენებლად უნდა იქცეს. ავტომშენებელთა კოლექტივს ბევრი თავსატეხი საქმე აქვს ახალ ხუთწლედში, მაგრამ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას საფუძველი უკვე ჩაეყარა.

ახალი ხუთწლედი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ბორის ვაშაკიძე,
ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მძღოლი-გამომცდელი სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

გადამეცათ მთავრობის ჯილდოები

საქართველოს სსრ უმაღლესი სახაბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში მეცნიერების მოღვაწეებს, არქიტექტორებს, ბიბლიოთეკებს, სტანდარტიზაციის სისტემის მუშაკებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ ნაყოფიერი და თავდადებული შრომისათვის, გადაეცათ მთავრობის ჯილდოები და სამატრო წოდების მინიმეტის სიგელები.

(საქინფორმი).

ახალი ამბები

□ **ვლადივოსტოკი.** ზღვისპირეთის მხარეში საექსპლოატაციოდ გადასცეს თითქმის 240 კილომეტრი სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. ახალმა ელექტროგადამცემმა ხაზმა შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური რაიონში უდიდესი „ბორის“ გიგანტისნენ დაუკავშირა ენერგოსისტემას, რომელიც ზღვისპირეთის, ხაბაროვსკის მხარისა და ამურის ოლქის ელექტროსადგურებს აერთიანებს.

□ **დუშანბე.** 3 თებერვალს № 3 რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ბავშვთა ქირურგიის კლინიკაში ამოქმედდა ვიდეოტელეფონი. ახლა ექიმს ან მედდას შეუძლიათ დაინახონ და ესაუბრონ თავიანთ პაციენტებს საავადმყოფოს ნებისმიერ ადგილას. მალე ანალი ალპარატი ლენინაბადის ოლქის პროლეტარის რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოშიც ამოქმედდება.

□ **მიიდურანა.** ს. მ. კიროვის სახელობის თევზსაყვარ კოლმეურნეობაში დაიწყო ესტონეთის მეურნეობებში ყველაზე დიდი — 20 ათასი ცენტნერი ტევადობის მაცივრის მშენებლობა. პანაჩეტა სიცივეში კი აქ ტემპერატურას შინუს 30 გრადუსამდე შეინარჩუნებენ. ახლა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საკვები ცილისათვის ახალი თევზის მიწოდება, განსაკუთრებით ზაფხულში. (საკადესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ყოველი ყრილობისწინა დღე — დამკვრელური

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის შედეგები და კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობა მეათე ხუთწლედის პირველ წლის თებერვალში.

ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა — რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. მ. ჭაფარიძემ და ა. მ. ლაბახუამ.

რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის იანვრის გეგმები და გადაამტა გასული წლის შესაბამისი პერიოდისთვის დაგეგმილ ზრდის ტემპსა და ანალოგიურ მაჩვენებლებს. პროდუქციის საშუალო სადღეღამისო გამომშეავებამ შეადგინა 19,1 მილიონი მანეთი, ამ დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის ზრდის ტემპი 8,9 პროცენტს უდრის, რაც უფრო მეტია, ვიდრე მიღწეული იყო 1974 და 1975 წლების იანვარში. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,7 პროცენტით, რის შედეგადაც მიღებული პროდუქციის მატების საერთო მოცულობის 75 პროცენტი.

სულ რესპუბლიკაში მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმები ვერ შესრულა 75 საწარმომ, რომლებმაც სახელმწიფოს დაიკლეს 4,1 მილიონი მანეთის პროდუქცია. მართალია, შარშან იანვარში 108 ასეთი საწარმო იყო, დეკემბერში კი 60. და ეს ხდება მაშინ, როცა სამინისტროებმა და უწყებებმა ზოგიერთ საწარმოს განუსაზღვრეს იანვრის შემცირებული გეგმები და მეტი დატვირთვა გადაუტანეს მარტისათვის.

თათბირზე დადებით მოვლენად აღინიშნა, რომ შესამჩნევად შემცირდა რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც მთლიანად ვერ შეასრულეს გეგმები.

როგორც მრეწველობის იანვრის მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, ორის ამის რეალური შესაძლებლობანი, რომ კიდევ უფრო დაგაჩქაროთ წარმოების ტემპი და, არსებული რეზერვების სრულად გამოყენების გზით წლის პირველი ორ თვის პროგრამა შევასრულოთ ვადამდე, სკკპ XXV ყრილობის გაბსნის დღისათვის. ეს დაადასტურეს თათბირზე გამოსულმა მთელი რიგი სამინისტროების, უწყებებისა და მსხვილი სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებმაც.

განიხილეს აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის შედეგები. ამ დარგში მდგომარეობა ნაკლებად სახარბიელოა, ვიდრე მრეწველობაში. იანვარში მთლიანად ვერ შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების ძირითადი ფონდების ამოქმედების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და საბინაო მშენებლობის გეგმები. ამასთან აშინდის, რომელი პირობების დამოწმება უსაფუძვლოა, რადგან, მაგალითად, საქართველოს სსრ სასოფლო-მშენებლობის სამინისტროს ქვეგანყოფილებმა, რომლებიც სამუშაოებს აწარმოებდნენ ისეთ ადგილებში, სადაც სტიქია სრულიადაც არ უწყობდა ხელს მშენებელთა წარმატებას, დაკალება შეასრულეს. აღინიშნა აგრეთვე ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“, „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტების, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მთელი რიგი ტრესტების კარგი მუშაობა.

მშენებელთა მუშაობა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე მკაცრად, მაგრამ ხასორმლიანად გაკრიტიკეს. და აქედან მათ უახლოეს დროში უნდა გამოიტანონ საჭირო დასკვნები, ძირფულად გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა, რათა მკვიდრად გაუმჯობესონ მისი შედეგები. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მშენებლებს ამ საქმეში უფრო ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა კომიტეტებმა.

თათბირის შედეგები შეიჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ნჩხეიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. ციანავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია.

(საქინფორმი).

სკკპ XXV ყრილობის უელასნველრად

მეათე ხუთწლედს — ჩვენი შრომა, ფითაგონება!

სოციალისტური შეჯიბრების დღიური

მეათე ხუთწლედის 1976 ეკონომიკური ბიულეტენი

შეჯიბრების მასობრიობა, რიტმულად, მაღალეფექტურად მუშაობა — აი საუკეთესო საჩუქარი მშობლიური პარტიის XXV ყრილობას!

მოწინავე გამოცდილების სკოლა

ცნობილია, რომ ესტონელმა მწველავმა შარშან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალოცი წერილი მიიღო, რომელშიც იგი ესტონელ მწველავს უალოცავს ახალ შრომითს გამარჯვებას და უსურვებს შემდგომ წარმატებას. ყოველივე ამან მე დამაინტერესა, გაზეთის საშუალებით გავეცანი ესტონელი თანამოსაქმის გამოცდილებას და მასთან შეჯიბრებაში ჩავები; ამასთან მისი მაგალითით დავიწყე მუშაობა — 50 ძროხას ვწველი მანქანების გამოყენებით. ახლა წითელწყაროს რაიონში ლეიდა პეიპსის მაგალითით ბევრი რიგი მწველავი მუშაობს და საკმაო წარმატებასაც აღწევენ. პარტიის წითელწყაროს რაიკომმა მოიწონა ჩვენი ინიციატივა შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ და დაავალა რაიონის კოლმეურნეობებს ფართოდ დაენერგათ წარმოებაში ესტონელი მწველავის გამოცდილება. ამ გამოცდილების გამოყენებით რაიონის მეცხოველეებმა საკმაო წარმატებები მოიპოვეს, რის მეოხებითაც გადამეტებით შესრულდა რძის წარმოების რაიონული გეგმა.

მაგრამ თუ ახლის არ გაეცანი მოწინავის გამოცდილებას, თუ საკუთარი თვალით არ ნახე, როგორ შრომობს იგი, ისე საქმე მთლად წინ ვერ წავ. „ნახვა სჯობს ნათქვამსაო“ რომ იტყვიან, სწორედ ასეა. მაინტერესებდა ყველაფერი ადგილზე ჩემი თვალით მენახა. ლეიდას მწველას ესტონეთში სიამოვნებით დავთანხმდი. მთელი ეს გზა წითელწყაროდან ვალიანდამდე, რომელიც 3.000 კილომეტრს აღწევს, თითქმის შეუმჩნეველად გავიარეთ, მოუთმენლად ველოდით ლეიდასთან შეხვედრის წუთებს, ყოველივე იმის ნახვას, რაც თითქმის წარმოდგენილი გვქონდა.

ჩემს ესტონელ კოლეგასთან

ესტონელი მწველავის ლეიდა პეიპსის ახალი რეკორდები

გამოცდილების გასაცნობად მოდიოდნენ პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი გურამ ლოლაძე, ხართიშალის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ქეთევან ქარჩაძე, წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ალადაშვილი. მათი სურვილი იყო გაეცნოთ არა მარტო ესტონელი მწველავი, არამედ მთლიანად ის მეურნეობა, სადაც იგი მუშაობს, მეთოდები, რომლებითაც ისინი აღწევენ შრომის მაღალნაყოფიერებას, რენტაბელობას, პროდუქციის მაღალ ხარისხს.

აი თუნდაც იმ ბრიგადამ, სადაც ლეიდა პეიპსი მუშაობს, 1975 წელს 490 ტონა რძე მოწველა, ანუ ერთ ძროხაზე საშუალოდ 5.395 კილოგრამი. ეს თითქმის ოთხჯერ აღემატება ჩვენი რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს.

ვალიანდის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ვალიანდი“, რომელსაც ჩვენ ვესტუმრეთ, 1971 წელს ორი საბჭოთა მეურნეობისა და ორი კოლმეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა. აერთიანებს 400 კომლს. მათგან 612 მუშაა. 8.500 ჰექტარი სავარგულიდან ნახევარი სახნავი. მეურნეობას ჰყავს 4.200 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 1.450 სული ძროხაა. შარშან მიღებულია 5.800 ტონა რძე — სამჯერ მეტი, ვიდრე ჩვენს კოლმეურნეობაში. შრომატევად საშუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის, შრომის მაღალი ორგანიზაციისა და დისციპლინის შედეგად მიღწეულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ცენტნერი რძის თვითღირებულება შეადგენს 16,5 მანეთს, ხორცისა — 13,5 მანეთს (შესაბამისად ჩვენს კოლმეურნეობაში კი რძე — 22,8, ხორცი — 14,2 მანეთი დაგვიჯდა). ვალიანდის საბჭოთა მეურნეობის ფულადი შემოსავალი გასულ წელს 3.060.000 მანეთი, ხოლო მოგება ერთი მილიონი მანეთი იყო.

მეურნეობაში, კერძოდ მერძევეობის იმ ბრიგადაში, სადაც ლეიდა პეიპსი მუშაობს, კარგად არის განაწილებული შრომა. ყველას თავისი საქმე აქვს მიჩენილი და უფუყმანოდ, მაღალ დონეზე ასრულებენ მას, ანაზღაურებაც შესრულებული სამუშაოს მიხედვით ხდება.

მწყემს-ტრაქტორისტს ევალება ეზოდან ბინაში საკვების შემოტანა, ნაკელის გამტანი ტრანსპორტიორით პირუტყვის სადგომის დასუფთავება. საკვების დამრიგებელი რაციონის მიხედვით საკვებს ანაწილებს საკვებურებში. მორიგე-მომვლელი აწესრიგებს და ასუფთავებს რძის მილგაყვანილობას, ინვენტარს, პირუტყვს. მწველავი ლეიდა პეიპსი მხოლოდ წველის პირუტყვს დღეში ორჯერ — დილით და საღამოს, ოთხ ხაწველ აპარატს არგებს პირველ ოთხ ძროხას, სანამ მეოთხეს მოარგებდეს, პირველი უკვე ასრულებს თავის ფუნქციას, მერე პირველ აკრეგატს ხსნის და გადაიკვლევ მეხუთეზე, ასე თანმიმდევრულად ანაცვლებს ხაწველ აპარატებს, სულ 100 ძროხას წველის. თვითეულ წველას 3 საათსა და 10 წუთს უნდება. ერთჯერად 100 ძროხიდან 850-900 კილოგრამ რძეს იღებს. რძე ხელშეუხებლად, ძროხის ცურიდან ჰერმეტიულად დახურული მინის მილებით პირდაპირ მიდის ავტოცისტერნაში: ასეთ პირობებში, ცხადია გამორიცხულია რძის გაჭუჭყიანება.

ხაინტერესოა შრომის ანაზღაურების პრინციპი. ეს ხდება მიღებული რძის რაოდენობის მიხედვით. ერთი ცენტნერი რძის მიღებაზე მწველავი იღებს 75 კაპიკს, მწყემსი-ტრაქტორისტი და საკვების დამრიგებელი თვითეული — 59 კაპიკს, მორიგე მომვლელი — 37 კაპიკს. ამრიგად, ისინი თვეში ხაშუალოდ 200-დან 250 მანეთამდე იღებენ.

ერთი რამ, რაც მისვლისთანავე შევნიშნეთ, არის წესრიგი, ხისუფთავე ყველგან და ყველაფერში! ყველა დიდი პასუხისმგებლობით, მონდომებით, ხიყვარულით ეკიდება თავის საქმეს. განსაკუთრებით სუფთად ინახავენ ძროხებს. ეამაყებათ, როცა ისინი ხისუფთავისაგან ბზინავენ. ჰაყვთ „ესტონური წითელი“ ჯიშის საქონელი. თვითეული მათგანის წონა 600-700 კილოგრამია.

ყველა ძროხას აქვს თავისი ბარა. ამ ბარას ერთ მხარეს ძროხის სახელი და რაციონი (რომელიც ეძლევა წველადობის მიხედვით) აწერია, ხოლო მეორეზე აღირიცხება ყოველდღიური წველადობა, რძის ცხიმის პროცენტი, თვითღირებულება.

ლეიდა პეიპსი კარგი მეოჯახეც არის. შინ მიგვიწვია. ვინახულეთ მისი ხაცხოვრებელი სახლი, ოჯახი: ჰყავს სამი ვაჟიშვილი, უფროსისგან კი — შვილიშვილი. ჩემს საქართველოში, სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში მოწვევას ლეიდა ხიამოვნებით დათანხმდა.

ესტონეთში, ჩემს კოლეგასთან სტუმრობით ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ ერთმანეთისაგან. მე ყოველივე ჩავინიშნე და ვფიქრობ განვახორციელო ცხოვრებაში, დაწერილებით გადავცე ადგილზე ჩემს თანამოსაქმეებს.

გულახდილად მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ბრიგადაში, რომელიც უკვე ერთი წელია ლეიდა პეიპსის მეთოდით მუშაობს, ყველაფერი ისე არ არის, როგორც იქ. მაგალითად, შრომა ბრიგადის შიგნით არასწორად გვაქვს განაწილებული. ერთნი მეტად არიან დატვირთულნი, მეორენი ნაკლებად. ხანგრძლივია ძროხების წველის პროცესი, მაღალია რძის თვითღირებულება, ზოგჯერ ირღვევა ხარისხიც.

საქართველოს ყველა მეცხოველეს, ჩემს თანამოსაქმეებს მინდა მივმართო და ვთხოვო, რომ ახალი ხუთწლედის პირველივე დღეებიდან ლეიდა პეიპსის მაგალითით ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, გამოვიყენოთ ყველა რეზერვი და საშუალება რძის წარმოების გასაადიდებლად. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა ფერმებში ჩატარდეს რეკონსტრუქცია, მოვამზადოთ მექანიზატორები, რომლებიც შეუფერხებლად ამუშავებენ მანქანებს, რომ ესტონელი თანამოსაქმის მაგალითით თვითეულმა მწველავმა მოწველოს 50-100 ძროხა. მხოლოდ ამ გზით გავადიდებთ წველადობას, შევქმნით პროდუქტების სიუხვეს.

ველი თქვენს პასუხს, ძვირფასო თანამოსაქმენო!

ზაირა ალხანიშვილი,

წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი.

* * *

სურათზე: ლეიდა პეიპსი მუშაობის დროს.

მკთ თავი ისაახელეს

ლილოს გიგანტის მშენებლები

დამთავრდა რესპუბლიკაში უდიდესი თბილისის ლილოს ხახლთხამშენებლო კომბინატის საწარმოო კორპუსების მშენებლობა და მოწყობილობის დამონტაჟება. მეათე ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე აგრეგატების გამოცდისა და ცალკეული კვანძების გამართვის შემდეგ ხახლთმშენებლობის გიგანტის პირველი რიგი მზა პროდუქციას უშვებს.

კომბინატის პირველი რიგის წლიური წარმადობა 132 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობია. ეს ნიშნავს, რომ კომბინატის პროდუქციით წლის განმავლობაში 70-ზე მეტი რვასართულიანი კორპუსები ანუ 5.300-ზე მეტი ბინა აშენდება, რომლებშიც შესახლდება 21.500 კაცი.

როცა ლილოს გიგანტი მწყობრში მთლიანად ჩადგება, მისი წლიური სიმძლავრე 800 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს.

სურათზე: მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან): ხუროთმოძღვარი ი. წიკლაური, მემონტაჟე ა. მეტრეველი, მებეტონე მ. ფილიპეი, კალატოზი ა. ხალბაშვილი, ხუროთმოძღვარი ქ. ქართველიშვილი, მებეტონე გ. ქიტიაშვილი და მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ხუროთმოძღვარი დ. ერკოშვილი.

ე. ეზინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოვამზადებთ 30.000 მექანიზატორს!

სოფლის მშრომელთა ახალი მიჯნები

დამკვრელური შრომით, დიდი ვალდებულებებით უპასუხებენ სოფლის მშრომელები პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს, სსრკ ქაღშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის“ — 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

„რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიერ მიღწეულ წარმატებათა შენარჩუნებასა და გამრავლებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მექანიზატორებმა. იმაზე, თუ რამდენად ხარისხიანადაა შეკეთებული ტექნიკა, რამდენად უნარიანად იყენებენ მათ, მინდვრებში, პლანტაციებში, ბალ-ვენახებში სამუშაოთა ჩატარების ვადებსა და ხარისხზე დამოკიდებულია მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, თვითეული ჰექტარის გამოსავლიანობა. ეს უნდა ითქვას, რადგან ტრაქტორებს, კომბაინებს, სათეს და ნიადაგდასამუშავებელ აგრეგატებს ჩვენში ყოველთვის სრული სიმძლავრით ვერ იყენებენ. უფრო მეტიც, სოფელი მექანიზატორთა დიდ ნაკლებობას განიცდის. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არ არის მოგვარებული ტრაქტორების ორცვლიანი მუშაობა, რადგან აკლიათ მექანიზატორები. საკმარისია ითქვას, რომ ამის გამო რესპუბლიკაში ცდება ყოველი მეათე ტრაქტორი.

ყოველივე ამას მოსდევს ხვნათესვის, ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების დამუშავების ვადების გაჭიანურება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხის დაქვეითება, რაც გავლენას იხდენს მოსავალზე.

მექანიზატორებით ტექნიკის უბრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას, ტრაქტორების, მოსავლის ასაღები მანქანების, სათესი და ნიადაგდასამუშავებელი აგრეგატების ეფექტიანი გამოყენებისათვის, მინდვრის სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაწლას მიეძღვნა სიღნაღის, აბაშისა და გალის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა კრებები.

კრებებზე მთელი სიმწვავით იდგა სხვადასხვა პროფილის მექანიზატორთა კადრების მასობრივი მომზადების ორგანიზაციის საკითხი. ორატორთა გამოსვლებს წიერ ზოლად გასდევდა აზრი: მექანიზატორის არც ერთი სამუშაო დღე, არც ერთი სამუშაო საათი ფუჭად არ უნდა იარგადოს. დღეკანდელი დევიზია — „თუ სოფლად ცხოვრობ, უნდა შეგეძლოს ტექნიკის მართვა!“

კრებების მონაწილეებმა იკისრეს გადდებული ვალდებულებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ, რომ ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, „საკსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებანი და განყოფილებანი უზრუნველყონ მექანიზატორთა კადრებით, რათა ტექნიკა ორ ცვლად მუშაობდეს. რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორის პარკს ორცვლიანი მუშაობის დროს დასჭირდება 30.000 მექანიზატორი.

ვალდებულებებში გათვალისწინებულია წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდა, თვითეული მექანიზატორისა და კოლექტივის მიერ მეათე ხუთწლედის პირველი წლისა და მთლიანად ხუთწლეულის დაგალებათა უთუო შესრულება.

კრებების მონაწილეებმა მოუწოდეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს აქტიურად ჩაებან მექანიზატორთა კადრების მასობრივი მომზადებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებაში ახალი წარმატებების მიღწევისათვის ლაშქრობაში.

იკისრეს:

ხიღნაღის რაიონი

— მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში მოვამზადებთ ხხვადასხვა პროფილის 800 მექანიზატორს ხუთწლეულისათვის გათვალისწინებული 695-ის ნაცვლად;

— მექანიზატორის ხაქმეს შევასწავლით ახალგაზრდობას, მათ შორის 40 ქალიშვილს;

— „საქსოფლტექნიკის“ წნორის გაერთიანებასთან, ულიანოვსკის სარემონტო ხახელოსნოსთან, ბოდბისხევისა და მაღაროს კოლმეურნეობებთან შევქმნით ტრაქტორისტთა მოსამზადებელ ზონალურ კურსებს — თვითეულს 100 ტრაქტორისტისათვის;

— შევქმნით ტექნიკას დაუფლებული კადრების რეზერვს, რათა დროულად და საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩავატაროთ უმნიშვნელოვანესი ხასოფლო-სამეურნეო სამუშაოები — თესვა, მოსავლის აღება და სხვ;

— პარტიის რაიკომის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის აპარატის მუშაკებისათვის, რაიონული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის შევქმნით ტრაქტორის მართვის კურსებს.

ბაბაშის რაიონი

— მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში მოვამზადებთ ხხვადასხვა პროფილის 500 მექანიზატორს ხუთწლეულისათვის გათვალისწინებული 280-ის ნაცვლად;

— „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებასთან, სუჯუნისა და ზანათის საბჭოთა მეურნეობებში, აბაშის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანაში, სოფლების ნორიოსა და ტყვირის კოლმეურნეობებში შევქმნით სამთვიან მუდმივმოქმედ მექანიზატორთა მოსამზადებელ კურსებს, რომელთაგან თვითეული მოამზადებს 100 მექანიზატორს.

— მექანიზატორის პროფესიას შევასწავლით ახალგაზრდობას, მათ შორის 50 ქალიშვილს;

— პარტიის რაიკომის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის აპარატის მუშაკებისათვის, აგრეთვე რაიონული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოსამსახურეებისა და სპეციალისტებისათვის შევქმნით ტრაქტორის მართვის კურსებს.

გალის რაიონი

— მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში მოვამზადებთ ხხვადასხვა პროფილის 700 მექანიზატორს ხუთწლეულისათვის გათვალისწინებული 640-ის ნაცვლად;

— შევქმნით ტექნიკას დაუფლებული კადრების რეზერვს, რათა დროულად და საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შევასრულოთ დიდმნიშვნელოვანი ხასოფლო-სამეურნეო სამუშაოები;

— რაიონული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის შევქმნით ტრაქტორის მართვის მოკლევადიან კურსებს. (საქინფორმი).

გაზეთების ფურცლებზე

ცოცხალი

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატმა რევაზ ჩიქვილაძემ ხარატის პროფესია ქუთაისის № 4 პროფტექნიკურ ხასწავლებელში შეისწავლა, შემდეგ კი თავისი ცოდნა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში განამტკიცა. მან 1968 წელს გელათის ტრანსფორმატორების ქარხანაში დაიწყო მუშაობა და მას შემდეგ უწენოდ მუშაობს.

მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის ქარხანა, სადაც ნოვატორი რ. ჩიქვილაძე მუშაობს საერთო პროდუქციის მოცულობის 70 პროცენტს ხარისხის ნიშნით გამოუშვებს. 1977 წლიდან სერიულად დამზადდება ახალი კონსტრუქციის ხახარატო ტრანსფორმატორები.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი ვ. ჩიქვილაძე შრომის ტემპს ყოველდღიურად ამაღლებს, რათა ახალი წარმატება მოიპოვოს მეათე ხუთწლედში.

ჟიათურის მაღაროელი

ალექსანდრე ჭიოლაძემ პირველად კალინინის სახელობის მაღაროში დაიწყო მუშაობა, სწრაფად დაეუფლა ჭერის მართვის რთულ პროფესიას, მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. 1958 წელს ახალი ითხეისის მაღაროში გადავიდა სამუშაოდ. მაშინ ეს საწარმოო გეგმას ვერ ასრულებდა. აქ იგი დაეუფლა მაღაროელის ყველა პროფესიას. ამჟამად ვეტერანი მაღაროელი მეორე საწარმოო უბანში მუშაობს გვირაბგამყვანად და ცვლის დავალებას 130-140 პროცენტით ასრულებს.

ლენინის ჯილდო

მძლავრი სატრაქტორო-სამანქანო პარკი აქვს ვლადიკავკაზის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“.

მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო იზრდება მექანიზაციის როლი. ერთი წუთითაც არ წყდება საქმიანი ფუსფუსი კოლმეურნეობის სატრაქტორო პარკში, სადაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა „იზამთრებს“. მექანიზატორები არემონტებენ ტრაქტორებს, მისაბმელ მანქანა-იარაღებს, სამი ტრაქტორი კაპიტალურად შეაკეთეს „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მექანიზატორებმა. ამჟამად ვლადიკავკაზელები არემონტებენ ხაკიდ გუთნებს, სასხურებელ აპარატებს, სახნისებს. 24 საკიდი გუთნიდან უკვე წესრიგშია მოყვანილი 15, შეკეთებულია 5 სასხურებელი აპარატი.

მწვავე სიგნალი

იანვარში ჩამორჩენა

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის კოლექტივმა იანვრის გეგმას 74 ათასი მანეთის პროდუქცია დაკლო, კასების ცემენტის ქარხანამ — 68 ათასი მანეთისა.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თელავის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივმა იანვრის გეგმა 95,2 პროცენტით შეასრულა — ვერ გამოუშვა 76 ათასი მანეთის ნაწარმი, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატმა კი — 210 ათასი მანეთისა.

მუშებრივნის სამინისტროს თბილისის № 3 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში გამოუშვეს 100 ათასი მანეთით ნაკლები პროდუქცია, ვიდრე იანვრის დავალება ითვალისწინებდა, ცხინვალის № 4 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში გეგმას 20 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლდა, ხოლო ბათუმის სახლთსამშენებლო კომბინატში — 20 ათასი მანეთისა.

აბდილოგრივი მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ტექნიკური რეზინის ნაკეთობათა ქარხანაში იანვრის დავალება სანახევროდაც ვერ შეასრულეს — დაიკლეს 51 ათასი მანეთის პროდუქცია.

სოხუმის ქიმიურმა ქარხანამ ცუდად დიიწყო იანვარი, დავალება 51,4 პროცენტით შეასრულა, სახელმწიფოს დააკლო 156 ათასი მანეთის პროდუქცია.

სამტრედიაში ჩამორჩენილ თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა. იანვარში დავალების შესრულების მაჩვენებელი 33,1 პროცენტია — აქ ვერ გამოუშვეს გეგმიური 174 ათასი მანეთის პროდუქცია.

თუ ამ რეგერვს ავამოქმედებთ...

ხახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედის ძირითადი მიმართულებანი ითვალისწინებს ლეგირირებული ფოლადების და შენადნობების წარმოების შემდგომ ზრდას. ბუნებრივია, დღის წესრიგში დგება ამ ხაჭიროების მაღნების მოპოვების გაფართოების აუცილებლობა, რომელიც დაკავშირებულია ბევრი პრობლემური საკითხის „გადაჭრასთან.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ითქვა, რომ „ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის კომპლექსში და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში განხორციელდება ღონისძიებები მარგანეცის კონცენტრატებისა და ფეროშენადნობთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მარგანეცის მოპოვების გაფართოებისათვის ალბად სიმძლავრეთა შევსების გათვალისწინებით“.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მარგანეცის ღარიბი მაღნების მასობრივად გამოყენებას ფეროშენადნობთა წარმოებაში, რადგან ახლა ჭიათურაში გამოუყენებლად დასაწყობებულია ასეული ათასობით ტონა ასეთი მადანი, რომელთა გამოღებაზე და გამდიდრებაზე დიდძალი თანხებია დახარჯული, ეს კი არასასურველ გავლენას ახდენს ხამთო-მადნო კომბინატის საფინანსო მდგომარეობაზე, იმ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაზე, რომელიც სოციალისტური შეჯიბრებით არის ნაკისრი.

ფეროშენადნობთა წარმოების დღევანდელ ტექნოლოგიაში ძირითადად უმადესი ხარისხის მანგანუმის მაღნებს იყენებენ ღარიბი მაღნების უმნიშვნელო დამატებით. ღარიბი მაღნების გამოყენება ფეროშენადნობთა წარმოებაში მოითხოვს დამატებით გადამუშავებას, რაც ეწვევა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუარესებას. მართალია, მეტალურგებს ხელს აძლევთ უმაღლესი ხარისხის ბეროკსიდული მაღნების გამოყენება, მაგრამ ასეთი „ნედლეულის დეფიციტის გამომეორებენ მათ იძულებულნი ხდის დაუყოვნებლივ შეიმუშაონ ტექნოლოგია ყველა სახის კონცენტრატების რაციონალურად გამოყენებისათვის.

პრობლემის ერთი ნაწილი უკვე გადაჭრეს სამთოელებმა და გამამდიდრებლებმა. საწარმოო ცდებით დადგინდა, რომ კარბონატული და დაჟანგული მაღნებისაგან მიიღება კონცენტრატები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა ფეროშენადნობთა წარმოებაში გამოვიყენოთ. ჭიათურაში ეს საკითხი პრაქტიკულადაც გადაწყდა. მწყობრში ჩადგა კარბონატული და დაჟანგული მაღნების გამამდიდრებელი თბილისი. სამთო საწარმოებში მაღნების სელექციური დამუშავება ხდება ცალკეული სახეების მიხედვით და იღებენ შესაბამის კონცენტრატებს.

ღარიბი კონცენტრატების ფეროშენადნობთა წარმოებაში გამოყენების ტექნოლოგიის დასამუშავებლად დიდი კვლევითი სამუშაოები ჩაატარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიისა და პოლიტექნიკურმა ინსტიტუტებმა ზესტაფონელ მეტალურგებთან ერთად.

სამეცნიერო-კვლევითი ცდებით და დაბალი სიმძლავრის ღუმელებზე საწარმოო ცდებით შემუშავებულია სხვადასხვა ტექნოლოგიური ვარიანტი. პირველი შედეგები დამაკმაყოფილებელია. ის

სრულყოფილად გამოვიყენოთ ღარიბი სანედლეულო ნიადაგები

◆

ტექნოლოგია მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწება.

შავი მეტალურგიის მრეწველობაში დღეისათვის პირველი რიგის ამოცანა ის არის, რომ გამოინახოს იაფფასიანი და ეფექტური ნახშირბადიანი აღმდგენლები. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენს რესპუბლიკაში, რადგან ადგილობრივი მოპოვების ნახშირის უმეტესობა უკოქსოდაა. ამის გამო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას კოქსი დონბასიდან შემოაქვს და ოდენ ბევრ უხერხულობასთან, დაბარკოლებასთან არის დაკავშირებული.

ქარხნის მეტალურგებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის კომპლექსური გამოკვლევებისა და მოდიფიკატორების ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად აწარმოეს ცდები ტყიბულის ნახშირის თერმული დამუშავებისა და მათი კომპლექსური შენადნობების დნობების ტექნოლოგიაში გამოსაყენებლად. მიღებული შედეგები ფრიად საყურადღებო და მაღალი.

